ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია

<u>ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების შესახებ:</u>

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.) – ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939 წ.). მის სახელს უკავშირდება პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

ივანე ჯავახიშვილმა 1895 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია, სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე განაგრძო. 1907 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, იმავე წელს ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. 1907 წლიდანვე იყო „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრი.

ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით 1918 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი (1918-1919 წწ.), რექტორი (1919-1926 წწ.), „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარე (1921-1930 წწ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე და კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ კონსულტანტი (1936 წლიდან).

ივანე ჯავახიშვილმა ღრმა კვალი დატოვა მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებაში. არ დარჩენილა ისტორიის და ფილოლოგიის არც ერთი დარგი, რომელშიც მას ფუძემდებლური ნაშრომი არ დაეტოვებინოს. დაწერა კაპიტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“. საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნა საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას, ქართული სამართლის ისტორიას, დიპლომატიკას, პალეოგრაფიას. დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებას და სხვ.

კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 135 წლის იუბილეს.

კონფერენციის თემატიკა:

- ისტორია
- ფილოლოგია
- კავკასიოლოგია
- აღმოსავლეთმცოდნეობა
- არქეოლოგია
- ეთნოლოგია
- ხელოვნებათმცოდნეობა
- ფილოსოფია
- სამართლის ისტორია

ნაშრომების წარმოდგენის პირობები:

- საკონფერენციო ნაშრომის თეზისები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- თეზისები არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას, ფონტი Sylfaen, Times New Roman; შრიფტის ზომა - 12. განსხვავებული ფონტის შემთხვევაში, სასურველია ფონტის გამოგზავნა.
- მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ავტორის შესახებ: ავტორის სახელი, გვარი, უმაღლესი სასწავლებელი, ფაკულტეტი, სპეციალობა, სემესტრი. სამეცნიერო/აკადემიური სტატუსი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა);
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. მობ.,ელექტრონული ფოსტა);
- საკონფერენციო თეზისები და სრული სტატიები დაიბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ვრცელი მოხსენებების (ქართულ და ინგლისურ ენებზე) წარდგენის ბოლო ვადა 30 აპრილი;
- სარედაქციო საბჭო შეარჩევს კონფერენციაში მონაწილეთა მოხსენებებს, პასუხი ავტორებს ეცნობებათ 20 აპრილს;

რეგლამენტი:

- მოხსენება - პრეზენტაცია - 15 წუთი
- დისკუსია - 10 წუთი

ვადები:

- თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა - 2011 წელი 15 აპრილი.
- შერჩეული სტატატიის სრული ვერსიის წარმოდგენის ვადა 30 აპრილი.

კონფერენციის ჩატარების თარიღი:

2011 წლის 5 მაისი, ხუთშაბათი, 10^{00} სთ-დან 16^{00} სთ-მდე.

კონფერენციის ჩატარების ადგილი:

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

სტატიები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

iubile135@tsu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

877 52 77 79;

893 35 11 55